

## რეპროდუქტოლოგია

### 1. სპეციალობის დასახელება - „რეპროდუქტოლოგია“

### 2. სპეციალობის შინაარსი:

რეპროდუქციული ჯანმრთელობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის ყოვლისმომცველ ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კეთილდღეობას.

რეპროდუქტოლოგია არის მედიცინის დარგი ქალისა და მამაკაცის სქესობრივი და რეპროდუქციული ფუნქციის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის შესახებ. იგი შეისწავლის სიცოცხლის ყველა ეტაპზე ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციული სისტემის ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, რეპროდუქციული პათოლოგიების ეტიოლოგიას, პათოგენეზს, კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პროფილაქტიკას, პროგნოზს. აგრეთვე ყველის გამრავლების, შთამომავლობის კვლავწარმოების ფიზიოლოგიას, პათოლოგიას და რეგულირების მეთოდებს. რეპროდუქტოლოგია წარმოადგენს მედიცინის კომპლექსურ დარგს, რაც მოიცავს რეპროდუქციულ ენდოკრინოლოგიას და გინეკოლოგიას, რეპროდუქციულ გენეტიკასა და იმუნოლოგიას, ანდროლოგიასა და რეპროდუქციულ ქირურგიას.

### 3. ზოგადი ცოდნა:

#### ექიმმა რეპროდუქტოლოგმა უნდა იცოდეს:

- ა) ადამიანის გამრავლების ფიზიოლოგიური საფუძვლები;
- ბ) სქესის დიფერენცირება ნაადრევ ონტოგენეზში;
- გ) მამაკაცის სასქესო ჯირკვლების, შიგა და გარეთა სასქესო ორგანოების განვითარება, მამაკაცის სასქესო სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია;
- დ) მამაკაცის რეპროდუქციული სისტემის რეგულაცია, რეგულაციის დონეები, სასქესო სტეროიდები, სინთეზი, მეტაბოლიზმი, სამიზნე სტრუქტურები;
- ე) ქალის რეპროდუქციული ორგანოების ანატომია, რეპროდუქციული სისტემის ფიზიოლოგია, ემბრიოგენეზი და მისი დარღვევები;
- ვ) ქალის რეპროდუქციული სისტემის რეგულაცია, რეგულაციის დონეები, ნეიროენდოკრინოლოგია, სასქესო სტეროიდების სინთეზი, მეტაბოლიზმი, სამიზნე სტრუქტურები, რეპროდუქციული ციკლები;

ზ) რეპროდუქციული სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები: ანტენატალური, პოსტნატალური, ბავშვობის, პრეპუბერტატული, პუბერტატული, პოსტპუბერტატული პერიოდები ორივე სქესის ინდივიდში;

თ) ქალის ცხოვრების ეტაპები - ახალშობილობა, ბავშვობა, მოზარდობა, ახალგაზრდობა, რეპროდუქციული ასაკი, პრემენოპაუზა, მენოპაუზა, პოსტმენოპაუზა, სიბერე - მიმდინარეობის თავისებურებები;

ი) ახალშობილობის, ბავშვთა და მოზარდობის პერიოდი, ფიზიკური და სქესობრივი განვითარების შეფასება და დარღვევების ადრეული გამოვლენა ვაჟებსა და გოგონებში, სქესობრივი განვითარების დარღვევები, მართვის პრინციპები;

კ) სქესობრივი განვითარება - ნორმის ვარიანტები და პათოლოგია, სქესობრივი მომწიფების სტადიების შეფასება, ადრენარხე, ტელარხე, პუბარხე, მენარხე; ნაადრევი პუბერტატი - ჭეშმარიტი, ცრუ, იზოლირებული; დაგვიანებული პუბერტატი - ცენტრალური, გონადური, სომატური დაავადებებისა და სხვა ენდოკრინოპათიების ფონზე განვითარებული; ზრდის პრობლემები ნორმალურ მოზარდებში, მართვის პრინციპები;

ლ) რეპროდუქციულ-ენდოკრინული დარღვევებისა და გენიტალიების ანთებითი პათოლოგიების კლინიკური, დიაგნოსტიკური თავისებურებები ორივე სქესის ბავშვებსა და მოზარდებში, სასირცხვო ბაგეების ადჰეზია გოგონებში, უცხო სხეული საშოში - მართვის პრინციპები; ვაჟებში კრიპტორქიზმი, გინეკომასტია - მართვის პრინციპები;

მ) ბავშვთა და მოზარდთა რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბების ფიზიოლოგია, დარღვევების მართვის პრინციპები;

ნ) რეპროდუქციული გენეტიკის საფუძვლები;

ო) სქესობრივი განვითარების თანდაყოლილი დარღვევები (ანომალიები) ფენოტიპურ ქალებში. გენეტიკურად განპირობებული: ქალური ტიპის ან ინტერსექსუალური გენიტალიებით - გონადების დისგენეზიის ტიპური ფორმა (ტერნერის სინდრომი), არატიპური ფორმა (მოზაიციზმი, X ქრომოსომის სტრუქტურული ანომალიები), სუფთა ფორმა (სვაიერის სინდრომი ან სხვა), შერეული ფორმა; ანდროგენრეზისტენტობის სრული და არასრული ფორმა (მამაკაცის ცრუ ჰერმაფროდიტიზმი); ადრენალური ჰიპერპლაზიის კლასიკური, თანდაყოლილი ვირილური ფორმა (ქალის ცრუ ჰერმაფროდიტიზმი); ოვოტესტიკულური დარღვევა (ჭეშმარიტი ჰერმაფროდიტიზმი); მართვის პრინციპები;

სქესობრივი განვითარების სხვა თანდაყოლილი დარღვევები (ანომალიები) ფენოტიპურ ქალებში ქალური ტიპის გენიტალიებით: მიულერის აპლაზია (როკიტანსკი-მაიერ-კუსტნერ - ჰაუზერის სინდრომი), მიულერის დისპლაზიები (ორრქიანი საშვილოსნო, დიდელფური საშვილოსნო, ერთრქიანი საშვილოსნო, უნაგირა საშვილოსნო, T-სებრი საშვილოსნო, საშვილოსნოს სრული და არასრული ძგიდე, საშოს სიგრძივი ძგიდე), საშოს განივი ძგიდე, საშოს ნაწილობრივი ატრეზია, არაპერფორირებული საქალწულე აპკი, მართვის პრინციპები;

სქესობრივი განვითარების თანდაყოლილი დარღვევები (ანომალიები) პაციენტებში მამაკაცური ფენოტიპით - გენეტიკურად განპირობებული (კლაინფელტერის სინდრომი, XX მამაკაცები), და სხვა ანომალიები (ჰიპოსპადია, ეპისპადია, ანორქიზმი, მონორქიზმი), მართვის პრინციპები;

პ) მამაკაცის პირველადი (ჰიპერგონადოტროპული) ჰიპოგონადიზმი: ანორქიზმი, მონორქიზმი, კრიპტორქიზმი, კლაინფელტერის, ნუნანის, დელკასტილოს სინდრომები, მიოტონური დისტროფია, მართვის პრინციპები;

ჟ) მამაკაცის მეორადი (ჰიპოგონადოტროპული) ჰიპოგონადიზმი: იდიოპათიური, ადიპოზოგენიტალური დისტროფია, პასკუალინის სინდრომი, ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონის უპირატესი ან იზოლირებული დეფიციტი, მალუთენიზირებელი ჰორმონის იზოლირებული უკმარისობა (ფერტილური ევნუხი), ჰიპერპროლაქტინემია, კალმან-დე მერსიეს, პრადერ-ვილის, ლოურენს-მუნი-ბარდე-ბიდლის სინდრომები, მართვის პრინციპები;

რ) მამაკაცის შეძენილი ჰიპოგონადიზმი, მართვის პრინციპები;

ს) მამაკაცის ჰიპოგონადიზმის მკურნალობის პრინციპები, ჩანაცვლებითი თერაპია ანდროგენებით, გონადოტროპინების გამოყენება;

ტ) მენსტრუაციული ციკლი: ფიზიოლოგიური მენსტრუაციული ციკლის რეგულაციის მექანიზმები, მახასიათებლები, მენსტრუაციული ციკლის დარღვევები და მათთან დაკავშირებული სიმპტომოკომპლექსები და სინდრომები, მართვის პრინციპები;

უ) ამენორეა: ფიზიოლოგიური (ბავშვობა, ორსულობა, ლაქტაცია), ცრუ (საშოს განივი ტიხარი, საშოს ნაწილობრივი ატრეზია, არაპერფორირებული საქალწულე აპკი); პათოლოგიური-ჰიპერგონადოტროპული (გონადების დისგენეზია, საკვერცხეების პირველადი უკმარისობა, რეზისტენტული საკვერცხეების სინდრომი), ჰიპოგონადოტროპული-ფუნქციური (სტრესული-წონაში სწრაფი დაკლება, ფსიქოგენური, იატროგენული) და ორგანული (შიჰანის სინდრომი, ცარიელი თურქული კეხის სინდრომი), ეუგონადოტროპული-საშვილოსნოსმიერი (საშვილოსნოს აპლაზია, აშერმანის სინდრომი), ჰიპერანდროგენემიის, ჰიპერპროლაქტინემიის, დეკომპენსირებული შაქრიანი დიაბეტის, ქრონიკული დაავადებების ფონზე მართვის პრინციპები;

პირველადი ამენორეა სქესობრივი განვითარების შეფერხებით (გონადების დისგენეზია, ჰიპერპროლაქტინემიური ჰიპოგონადიზმი, საკვერცხეების პირველადი უკმარისობა) და შეფერხების გარეშე (მიულერის აპლაზია, საშოს ნაწილობრივი ატრეზია, არაპერფორირებული ჰიმენი), მართვის პრინციპები;

მეორადი ამენორეა: ორგანული (სინექიები საშვილოსნოს ღრუში, აშერმანის სინდრომი, შიჰანის სინდრომი, ცარიელი თურქული კეხის სინდრომი, საკვერცხეების ნაადრევი განლევის სინდრომი); ფუნქციური (წონაში სწრაფი დაკლება, ფსიქოგენური, იატროგენური, ჰიპერანდროგენემია, ჰიპერპროლაქტინემია), მართვის პრინციპები;

საკვერცხეების პირველადი უკმარისობა (საკვერცხეების ნაადრევი განლევის სინდრომი, ჰოპოგონადიზმი ქალებში), მართვის პრინციპები;

ფ) საკვერცხეების პოლიცისტოზი: განსაზღვრება, ეპიდემიოლოგია, გენეტიკური საფუძვლები, ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოსტიკური კრიტერიუმები („როტერდამის კონსესუსის“, „ანდროგენების სიჭარბისა და საკვერცხეების პოლიცისტოზის საზოგადოების“ მიხედვით), კლინიკური გამოვლინებები, დიაგნოსტიკის ჰორმონული და ბიოქიმიური მარკერები, კლინიკური ფორმები: შტეინ-ლევენტალის სინდრომი-პირველადი პოლიცისტოზი, პოლიცისტოზის ე.წ. ცენტრალური ფორმა განვითარებული ჰიპოთალამუსის დისფუნქციის ფონზე, პოლიცისტოზის შერეული ფორმა განვითარებული თანდაყოლილი ადრენალური ჰიპერპლაზიის ფონზე, დიფერენციალური დიაგნოსტიკა; საკვერცხეების პოლიცისტოზი და უშვილობა, რეპროდუქციული პროგნოზი, ინსულინრეზისტენტული მეტაბოლური სინდრომი, საკვერცხეების პოლიცისტოზის სინდრომის შორეული გართულებები და მათი პრევენცია, მკურნალობის მეთოდები-ცხოვრების სტილის მოდიფიკაცია, კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივები, ინსულინსენსიტიზერები, ოვულაციის სტიმულაცია ანტიესტროგენებით (კლომიფენ-ციტრათი, ლეტროზოლი), გონადოტროპინებით, მკურნალობის ქირურგიული მეთოდები: ლაპარასკოპია-საკვერცხეების დრილინგი, სოლისებური რეზექცია, დემედულაცია; ბარიატრიული ქირურგია; ინ-ვიტრო განაყოფიერების მეთოდების გამოყენება;

ქ) ნეირო-ენდოკრინული სინდრომები: ჰიპოთალამური სინდრომი (იუვენილური, მშობიარობის შემდგომი), ინსულინრეზისტენტული მეტაბოლური სინდრომი, მართვის პრინციპები;

ღ) პროლაქტინის სეკრეციის რეგულაცია, ჰიპერპროლაქტინემია, პათოგენეზი, ფუნქციური და ანატომიური მიზეზები (ჰიპოფიზის სიმსივნეები, ჰიპოფიზის ადენომა-პროლაქტინომა, იდიოპათური, ვან-ვეიკ-როსე-ჰენესის სინდრომი, იატროგენული), რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევის მექანიზმები, კლინიკური გამოვლინებები, ლაქტორეა, მართვის პრინციპები;

ყ) თანდაყოლილი ადრენალური ჰიპერპლაზიის კლასიკური ფორმები: ჰიპერტენზიული, მარილდამკარგავი, ვირილური-ქალის ცრუ ჰერმაფროდიტიზმი, გვიან გამოვლენილი არაკლასიკური ფორმები (პოსტპუბერტატული, რბილი), ეპიდემიოლოგია, პათოფიზიოლოგია, კლინიკა, ადრენო-გენიტალური სინდრომი და უშვილობა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, ფუნქციური სინჯები-დექსამეტაზონით, ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონით, რეპროდუქციული პროგნოზი, მართვის პრინციპები;

შ) ჰიპერანდროგენული მდგომარეობები (კუმინგის სინდრომი, თანდაყოლილი ადრენალური ჰიპერპლაზია, პოლიცისტური საკვერცხეების სინდრომი, ანდროგენმაპროდუცირებელი სიმსივნეები), იდიოპათური ანდროგენიზაცია, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, ანდროგენდამოკიდებული დერმატოპათიები-ჰირსუტიზმი, აკნე, სებორეა - მართვის პრინციპები;

ჩ) მენსტრუაციისწინა სინდრომი, პათოფიზიოლოგია, კლინიკური ფორმები, მართვის პრინციპები;

დისმენორეა-პირველადი, მეორადი; პათოფიზიოლოგია, დიფერენციული დიაგნოსტიკა, მეორადი დისმენორეის მიზეზების გამოვლენა, მართვის პრინციპები;

ც) კლიმაქტერული პერიოდის მიმდინარეობის ფიზიოლოგიური თავისებურებები, პრემენოპაუზა, პერიმენოპაუზა, მენოპაუზა, პოსტმენოპაუზა, პათოლოგიური გამოვლინებები - ადრეული, შუა პერიოდის, გვიანი; ვეგეტო-სისხლძარღვოვანი და ფსიქო-ემოციური დარღვევები, უროგენიტალური ცვლილებები, ატროფიული ვულვო-ვაგინიტი, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, ოსტეოპოროზი; კლიმაქტერული სინდრომის მკურნალობის მეთოდები (ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპია ნატურალური ესტროგენებით, მკურნალობის ალტერნატიული მეთოდები-ესტროგენების სელექციური მოდულატორები, ფიტოესტროგენები, ბიოფლავონიდები), გართულებების პრევენცია, მართვის პრინციპები;

ძ) მამაკაცის სასქესო ჰორმონების ასაკობრივი დეფიციტი, მართვის პრინციპები;

წ) პოსტკასტრაციული სინდრომი, მართვის პრინციპები;

ჭ) ფარისებური ჯირკვალი და რეპროდუქციული ფუნქცია. ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიებთან ასოცირებული რეპროდუქციული დარღვევები-აუტოიმუნური თირეოიდიტი, I და II ჰიპოთირეოზი, ვან-ვეიკ-როსი-ჰენესის სინდრომი, ფარისებური ჯირკვალი და ორსულობა, მართვის პრინციპები;

ხ) კვებითი ქცევის დარღვევები: ანორექსია, ჰიპერფაგია; მასის დეფიციტის, ჭარბი წონის და სიმსუქნის გავლენა რეპროდუქციულ ფუნქციაზე, მართვის პრინციპები;

ჯ) სისხლდენა სასქესო გზებიდან (საშვილოსნოს ყელიდან, საშვილოსნოდან), დიფერენციალური დიაგნოსტიკა, ორგანული პათოლოგიით გამოწვეული სისხლდენა: საშვილოსნოს ღრუს პოლიპი, ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია, გენიტალური ტუბერკულოზი, საშვილოსნოს ფიბროიდები, ადენომიოზი, მართვის პრინციპები;

ჰ) დისფუნქციური სისხლდენები საშვილოსნოდან: იუვენილური, რეპროდუქციული ასაკის, პერიმენოპაუზური პერიოდის; სისხლდენის პათოგენეზი, კლინიკური გამოვლინებები, დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, ჰემოსტაზის თავისებურებები, ჰორმონული და ქირურგიული ჰემოსტაზი, ჰემორაგიის პრევენცია, მართვის პრინციპები;

ჰ.1) სისხლის სისტემურ დაავადებებთან ასოცირებული, იატროგენული და სხვა მიზეზებით განპირობებული საშვილოსნოსმიერი სისხლდენები, მართვის პრინციპები;

ჰ.2) საშვილოსნოს კეთილთვისებიანი სიმსივნეები: საშვილოსნოს ღრუს და ცერვიკალური არხის პოლიპები, საშვილოსნოს ფიბროიდები, კონსერვატიული (გესტაგენები, ანტიპროგესტერონები) და ქირურგიული მკურნალობის მეთოდები, მართვის პრინციპები;

ჰ.3) ენდომეტრიოზი და ადენომიოზი-ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკური გამოვლინებები, დიაგნოსტიკა, მკურნალობის მეთოდები-კონსერვატიული და ქირურგიული, მართვის პრინციპები;

3.4) საკვერცხეების კეთილთვისებიანი წარმონაქმნები: საკვერცხის ფუნქციური (ფოლიკულური, ყვითელი სხეულის) ცისტები, ტერატომა, ცისტადენომა, ენდომეტრიალური ცისტები, მართვის პრინციპები;

3.5) რეპროდუქციულ პათოლოგიებთან (საკვერცხის შემოგრეხვა, აპოპლექსია, საშვილოსნოს გარე ორსულობა და სხვა) დაკავშირებული მწვავე მუცლის დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

3.6) გენიტალური სიმსივნეების დიაგნოსტიკის პრინციპები;

3.7) საშოს და საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების ფონური დაავადებები (დისჰორმონული, ჰიპერპლაზიური, ანთებითი, ტრავმული), კიბოსწინარე მდგომარეობები (დისპლაზია, ლეიკოპლაკია), მართვის პრინციპები;

3.8) სარძევე ჯირკვლების პათოლოგიური პროცესები: მასტოდინია, მასტოპათია, ლაქტორეა, კეთილთვისებიანი წარმონაქმნები, მართვის პრინციპები;

3.9) ორსულობის დროს ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები, მათი ენდოკრინული და ადაპტაციური საფუძვლები. ორსულობის ენდოკრინოლოგია; მაღალი რისკის ორსულთა გამოვლენა, მკურნალობის (უნაყოფობის, ინ-ვიტრო განაყოფიერების) შემდგომ მიღებული პრობლემური ორსულის მეთვალყურეობის პრინციპები ორსულობის ბოლომდე სპეციფიური პრობლემების გათვალისწინებით;

3.10) რეპროდუქციული და ენდოკრინული პათოლოგიების ფონზე მიმდინარე ორსულობის მონიტორინგის პრინციპები;

3.11) გესტაციური ტროფობლასტური დაავადებები, მართვის პრინციპები;

3.12) რეპროდუქციული დანაკარგები - ორსულობის დანაკარგების ეტიოლოგია: სოციალურ-ბიოლოგიური ფაქტორები, გენეტიკური მიზეზები, ჰიპერანდროგენემია, ლუთეინური უკმარისობა, ფარისებური ჯირკვლის დაავადებები, ინფექციური ფაქტორები, იმუნოლოგიური ასპექტები, თრომბოფილიური გართულებები, საშვილოსნოსმიერი მიზეზები, ისთმურ-ცერვიკალური უკმარისობა; დიაგნოსტიკური ტესტები, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები, პაციენტების მომზადება ორსულობისთვის და ორსულობის შემდგომი მართვის პრინციპები;

3.13) სისხლდენა ორსულობის დროს: ასოცირებული საშვილოსნოსგარე ორსულობასთან, ორსულობის ნაადრევ შეწყვეტასთან, მართვის პრინციპები;

3.14) თანდაყოლილი და შეძენილი თრომბოფილიით განპირობებული ორსულობის ვადამდე მიუტანლობის დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობის მეთოდები, ანტიფოსფოლიპიდური სინდრომით განპირობებული ორსულობის ჩვეული დანაკარგების დროს ჰემოსტაზის სისტემის დინამიური კონტროლის პრინციპები პრეიმპლანტაციურ პერიოდში და ორსულობის დროს;

- 3.15) საშვილოსნოსგარე ორსულობა, მართვის პრინციპები;
- 3.16) ქალის მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი დაავადებები: სახეები და ფორმები, ეპიდემიოლოგია, პათოგენეზი, მართვის პრინციპები;
- 3.17) შარდ-სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები: ვულვო-ვაგინიტი, ცერვიციტი, თანმხლები ცისტიტი და ურეთრიტი ქალებში, მართვის პრინციპები;
- 3.18) სქესობრივი გზით გადამდები და სხვა ინფექციები ქალებში: ბაქტერიული, პარაზიტული, ვირუსული, ბაქტერიული ვაგინოზი, ტრიქომონადული ვულვო-ვაგინიტი, კანდიდოზური ვულვოვაგინიტი, ქლამიდიოზი, ურეაპლაზმოზი, მიკოპლაზმური ინფექცია, გენიტალური ჰერპესი, პაპილომავირუსული ინფექცია, გენიტალური ტუბერკულოზი, მართვის პრინციპები;
- 3.19) ინფექციები ორსულობის დროს: სქესობრივი გზით გადამდები, ლატენტური, ოპორტუნისტული, მართვის პრინციპები;
- 3.20) ქალისა და მამაკაცის უნაყოფობა-ზოგადი მონაცემები, სტრუქტურა, რეპროდუქციული დანაკარგები, მართვის პრინციპები;
- 3.21) ქალის ფაქტორით გამოწვეული უნაყოფობა განპირობებული: გენეტიკური პათოლოგიებით, გენიტალიების თანდაყოლილი ანომალიებით, საშვილოსნოს დაავადებებით, ენდოკრინული მიზეზებით (ანოვულაცია, ლუთეინური უკმარისობა, ჰიპერანდროგენემია, ჰიპერპროლაქტინემია, ფარისებური ჯირკვლის დაავადებები), ტუბო-პერიტონეალური ფაქტორებით (მენჯის, საშვილოსნოს და დანამტების ანთებითი, შეხორცებითი პროცესები), ენდომეტრიოზით, მართვის პრინციპები;
- 3.22) მამაკაცის უნაყოფობა: ექსკრეტორული (ეპისპადია, ჰიპოსპადია, ასპერმატიზმი), ექსკრეტორულ-ობტურაციული (თესლის გამომტანი სადინრის ობლიტერაცია, ცისტური ფიბროზი), გენეტიკური (კლაინფელტერის სინდრომი, Y ქრომოსომის მიკრო დელეციები, AZF გენების მუტაციები), ანთებითი გენეზის, ენდოკრინული, სისხლძარღვოვანი, იმუნოლოგიური, კომბინირებული, მართვის პრინციპები;
- 3.23) სპერმატოგენეზის შეფასება, სპერმოგრამის ინტერპრეტაცია-სპერმატოზოიდების კონცენტრაცია, მოძრაობა, მორფოლოგია, ფუნქციური მაჩვენებლები, კლინიკური პარამეტრები;
- 3.24) შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი დაავადებები, როგორც მამაკაცთა უშვილობის მიზეზი-ურეთრიტი, ცისტიტი, პროსტატიტი, ვეზიკულიტი, ეპიდიდმიტი, ორქიტი, მართვის პრინციპები;
- 3.25) ურო-გენიტალური ინფექციები და მამაკაცის უნაყოფობა, მართვის პრინციპები;
- 3.26) მამაკაცის უნაყოფობის განმაპირობებელი პათოლოგიები: ვარიკოცელე, კრიპტორქიზმი, ჰიდროცელე, სპერმატოცელე, მართვის პრინციპები;

3.27) იმუნოლოგიური გენეზის უნაყოფობა, რეზუს-კონფლიქტი და წყვილთა იმუნური შეუთავსებლობა, აუტოიმუნური გენეზის უნაყოფობა, ორსულობის ვადამდე მიუტანლობა მართვის პრინციპები;

3.28) ქალის სექსუალური ფუნქციის დარღვევები და გავლენა რეპროდუქციულ ფუნქციაზე; ქალებში - სექსუალური ტკივილის სინდრომთან დაკავშირებული დისფუნქციები - ვაგინიზმი, ორგანული და არაორგანული წარმოშობის დისპარეუნია, ანორგაზმია, მართვის პრინციპები;

3.29) მამაკაცის სექსუალური ფუნქციის დარღვევები, როგორც უშვილობის მიზეზი, მამაკაცებში ერექციული დისფუნქციები, ლიბიდოს დაქვეითება, ნაადრევი ეაკულაცია, მართვის პრინციპები;

3.30) დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენება უნაყოფობის მკურნალობაში: წყვილის შეფასება და მეთოდის შერჩევა (საშვილოსნოსშიგა ინსემინაცია, IVF, ICSI, დაგროვების, სუროგაციის, დონაციის პროგრამები), პაციენტის მომზადება, სტიმულაციის პროტოკოლების შერჩევა - მოკლე, გრძელი ულტრაგრძელი პროტოკოლები (მოდიფიკაციებით), ოვულაციის ინდუქცია, საკვერცხეების ტრანსვაგინული პუნქცია, კვერცხუჯრედების შეგროვება და კულტივაცია, კვერცხუჯრედების სტანდარტული და ICSI მეთოდით განაყოფიერების პრინციპები, ემბრიონის გადატანა საშვილოსნოს ღრუში, მონიტორინგი, ინდუცირებული ორსულობა, მართვის პრინციპები;

3.31) საკვერცხის ჰიპერსტიმულაციის სინდრომი, მართვის პრინციპები;

3.32) ანდროლოგიური მანიპულაციები: RETA-სათესლეს შუასაყარიდან სპერმატოზოიდების ასპირაცია; PESA-სათესლეს დანამატიდან სპერმატოზოიდების პერკუტანული ასპირაცია; MESA-სათესლეს დანამატიდან სპერმატოზოიდების მიკროქირურგიული ასპირაცია; SPAS – სპერმატოცელედან სპერმატოზოიდების ასპირაცია; TESA-სათესლე ჯირკვლის პერკუტანული ასპირაციული ბიოფსია; TESE- სათესლეების ბიოფსია ღია წესით, გამოყენების ჩვენებები;

3.33) რეპროდუქციული მასალის (კვერცხუჯრედი, საკვერცხის ქსოვილი, სპერმა, ასპირატი სათესლე ჯირკვლიდან, ემბრიონები) კრიოპრეზერვაცია;

3.34) ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები: კონტრაცეპციის ბუნებრივი მეთოდები-კალენდარული, შეწყვეტილი სქესობრივი აქტი, ლაქტაციური ამენორეა; ბარიერული მეთოდები-მექანიკური (კონდომები, დიაფრაგმა, ჩაჩები) და ქიმიური (სპერმიციდები); ჰორმონული კონტრაცეპცია-კომბინირებული ორალური კონტრაცეპცია, კომბინირებული საინექციო კონტრაცეპცია, კომბინირებული ტრანსდერმული პლასტირი, საშოს ჰორმონული რგოლი; სუფთა პროგესტინული კონტრაცეპცია-პროგესტინული აბები, საინექციო საშუალებები, კანქვეშა იმპლანტები; საშვილოსნოსშიგა საშუალებები, ლევონორგესტრელის შემცველი საშვილოსნოსშიგა საშუალებები; გადაუდებელი კონტრაცეპცია (პროგესტინული რეჟიმი, იუზპეს მეთოდი, ანტიპროგესტერონები, სშს); ქალების ქირურგიული კონტრაცეპცია (მილბის ოკლუზია ლაპაროსკოპიული და ლაპარატომიული გზით, ჰისტეროსკოპიული სტერილიზაცია მიკროზამბარების გამოყენებით); მამაკაცის ქირურგიული სტერილიზაცია-ვაზექტომია; ახალი მიმართულებები კონტრაცეპციაში, მედიკამენტური აბორტი;



3.35) დემოგრაფიული კვლევის დიზაინის შერჩევაში მონაწილეობა, ჩატარება და შედეგების ანალიზი.

**4. დაავადებების/პათოლოგიური მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა მართვას მოიცავს რეპროდუქტოლოგია:**

ICD10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
A54	გონოკოკური ინფექცია	დიაგნოსტიკა, რეფერალი, თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების მართვა
A56.0	შარდ-სასქესო ტრაქტის ქვედა ნაწილის ქლამიდიური ინფექცია	მართვა კომპეტენციის ფარგლებში
A56.1	მცირე მენჯის ორგანოებისა და სხვა შარდ-სასქესო ორგანოების ქლამიდიური ინფექციები	მართვა კომპეტენციის ფარგლებში
A56.2	შარდ-სასქესო ტრაქტის ქლამიდიური ინფექცია დაუზუსტებელი	მართვა კომპეტენციის ფარგლებში
A59.0	შარდ-სასქესო ორგანოთა ტრიქომონიაზი	მულტიდისციპლინური მართვა
A60.0	სასქესო ორგანოებისა და შარდ-სასქესო ტრაქტის ჰერპეს ვირუსული ინფექცია	მულტიდისციპლინური მართვა
A63	უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები სხვა ავადმყოფობები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა რუბრიკებში	დიაგნოსტიკა, მართვა/რეფერალი შემდგომი მართვისთვის
B25	ციტომეგალოვირუსული ავადმყოფობა	მულტიდისციპლინური მართვა
B37.3	ვულვის და საშოს კანდიდოზი	მართვა
D24	სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე	დიაგნოსტიკა, მულტიდისციპლინური მართვა
D25	საშვილოსნოს ლეიომიომა	მართვა (დიაგნოსტიკა და მედიკამენტური თერაპია), ქირურგიული მკურნალობა რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნების გათვალისწინებით; საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური მართვა.
D26	საშვილოსნოს სხვა კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა (დიაგნოსტიკა და მედიკამენტური თერაპია), ქირურგიული მკურნალობა რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნების გათვალისწინებით; საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური მართვა.
D27	საკვერცხის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა (დიაგნოსტიკა და მედიკამენტური თერაპია), ქირურგიული მკურნალობა

		რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნების გათვალისწინებით; საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური მართვა.
D35.2	ჰიპოფიზის კეთილთვისებიანი სიმსივნეები	მულტიდისციპლინური მართვა
D50.0	სისხლის დაკარგვის (ქრონიკული) პირობებში განვითარებული მეორადი რკინა-დეფიციტური ანემია	მულტიდისციპლინური მართვა
D68.9	კოაგულაციური დეფექტი დაუზუსტებელი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E01	ფარისებრი ჯირკვლის იოდის დეფიციტთან დაკავშირებული დაზიანებები და მსგავსი მდგომარეობანი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E02	სუბკლინიკური იოდ-დეფიციტური ჰიპოთირეოზი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E03	ჰიპოთირეოზის სხვა ფორმები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E06	თირეოიდიტი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E11	ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E16	პანკრეასის შინაგანი სეკრეციის სხვა დარღვევები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E22.1	ჰიპერპროლაქტინემია	მართვა
E22.8	ჰიპოფიზის ჰიპერფუნქციის სხვა მდგომარეობები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E23.0	ჰიპოპიტუიტარიზმი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E23.3	ჰიპოთალამუსის დისფუნქცია, რომელიცარარისშეტანილი სხვა რუბრიკებში	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E23.6	ჰიპოფიზის სხვა დაზიანებები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით

E25	ადრენოგენიტალური დარღვევები	მართვა
E27	თირკმელზედა ჯირკვლების სხვა დარღვევები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E28	საკვერცხეების დისფუნქცია	მართვა
E29	სათესლე ჯირკვლების დისფუნქცია	მართვა
E30	სქესობრივი მომწიფების დარღვევები, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
E34.5	ანდროგენული რეზისტენტობის სინდრომი	მართვა
E66	ზოგადი სიმსუქნე	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
E68	ჭარბი კვების შედეგები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
F52.5	არაორგანული წარმოშობის ვაგინიზმი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
I86.2	მენჯის ვენების ვარიკოზი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
L64	ანდროგენული ალოპეცია (გამელოტება)	მართვა
L68.0	ჰირსუტიზმი	მართვა
L70.0	ვულგარული აკნე	მულტიდისციპლინური მართვა
L83	შავი აკანტოზი	მართვა
N34.1	არასპეციფიური ურეთრიტი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების არსებობის შემთხვევაში
N34.2	სხვა ურეთრიტები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების არსებობის შემთხვევაში
N41.6	ქრონიკული პროსტატიტი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების არსებობის შემთხვევაში
N45.9	ორქიტი, ეპიდდიმიტი, ეპიდდიმო-ორქიტი აბსცესის გარეშე	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების არსებობის შემთხვევაში
N46	მამაკაცის უნაყოფობა	მართვა, თანმხლები უროლოგიური პრობლემების შემთხვევაში რეფერალი
N63	წარმონაქმნი სარძევე ჯირკვალში დაუზუსტებელი	დიაგნოსტიკა, რეფერალი

N64.3	გალაქტორეა, რომელიც არ არის დაკავშირებული მშობიარობასთან	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N64.4	მასტოდინია	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N70	სალპინგიტი და ოოფორიტი	მართვა
N71	საშვილოსნოს ანთებითი დაავადება, საშვილოსნოს ყელის გარდა	მართვა
N72	საშვილოსნოს ყელის ანთებითი დაავადება	მართვა
N 73	ქალის მენჯის ღრუს ორგანოების სხვა ანთებითი დაავადებები	მართვა
N74	ქალის მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი დაზიანებები იმ ავადმყოფების დროს, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
N76	საშოს და ვულვის სხვა ანთებითი დაავადებები	მართვა
N80	ენდომეტრიოზი	მართვა (დიაგნოსტიკა და მედიკამენტური თერაპია), ქირურგიული მკურნალობა რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნების გათვალისწინებით; საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური მართვა.
N83.0	საკვერცხის ფოლიკულური კისტა	მართვა
N83.1	ყვითელი სხეულის კისტა	მართვა
N83.2	საკვერცხის სხვა დაუზუსტებელი კისტები	მართვა
N83.5	საკვერცხის, საკვერცხის ფხის და ფალოპიუსის მილის შემოგრება	მართვა არასრული შემოგრებისას თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით, სრული შემოგრებისას - მართვა მეან-გინეკოლოგთან ერთად
N83.6	ჰემატოსალპინქსი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N84	ქალის სასქესო ორგანოების პოლიპი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით

N85	საშვილოსნოს სხვა არაანთებითი დაავადებები, საშვილოსნოს ყელის გარდა	მართვა (დიაგნოსტიკა და მედიკამენტური თერაპია), ქირურგიული მკურნალობა რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნების გათვალისწინებით; საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური მართვა.
N86	საშვილოსნოს ყელის ეროზია და ექტროპიონი	მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N87	საშვილოსნოს ყელის დისპლაზია	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N88	საშვილოსნოს ყელის სხვა, არაანთებითი დაავადებები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N89	საშოს სხვა არაანთებითი დაავადებები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N90	ვულვის და შორისის სხვა არაანთებითი დაავადებები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N91	მენსტრუაციის არარსებობა, შემცირებული და იშვიათი მენსტრუაცია	მართვა
N92	ჭარბი, ხშირად არარეგულარული მენსტრუაცია	მართვა
N93	სხვა პათოლოგიური სისხლდენები საშვილოსნოდან და საშოდან	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
N94	მენსტრუაციულ ციკლთან დაკავშირებული ტკივილი და სხვა მდგომარეობები	მართვა
N95	მენოპაუზური და სხვა პერიმენოპაუზური დარღვევები	მართვა
N96	ჩვეული აბორტი	მართვა
N97	ქალის უნაყოფობა	მართვა
N98	ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებული გართულებები	მართვა, საჭიროებისას რეფერალი
O01	ბუშტნამქერი	დიაგნოსტიკა, რეფერალი
O02	განაყოფიერების სხვა პათოლოგიური შედეგები	მართვა
O03	სპონტანური აბორტი	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით

Q20	სისხლდენა ორსულობის ადრეულ პერიოდში	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
Q50	საკვერცხეების, ფალოპიუსის მილებისა და განიერი იოგების თანდაყოლილი ანომალიები	მულტიდისციპლინური მართვა თანმხლები რეპროდუქციული პრობლემების გათვალისწინებით
Q51	საშვილოსნოსა და საშვილოსნოს ყელის თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q52.0	საშოს თანდაყოლილი არარსებობა	მართვა
Q52.1	ორმაგი საშო	მართვა
Q52.3	მთლიანი (ხვრელის გარეშე) საქალწულე აპკი	მართვა
Q52.4	საშოს სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q52.5	ბაგეების შეხორცება	მართვა
Q52.6	სავნებოს (კლიტორის) თანდაყოლილი ანომალია	მართვა
Q52.7	ვულვის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა
Q53	ჩამოუსვლელი სათესლე ჯირკვალი	რეფერალი უროლოგთან, რეპროდუქციული პრობლემების მართვა
Q54	ჰიპოსპადია	რეფერალი უროლოგთან, რეპროდუქციული პრობლემების მართვა
Q55.0	სათესლე ჯირკვლის არარსებობა და აპლაზია	მართვა
Q55.1	სათესლე ჯირკვლის და სათესლე პარკის ჰიპოპლაზია	მართვა
Q55.3	თესლის გამომტანი სადინარის ატრეზია	მულტიდისციპლინური მართვა
Q55.4	თესლის გამომტანი სადინარის, სათესლის დანამატის (ეპიდდიდიმისის), სათესლე ბაგირაკისა და წინამდებარე ჯირკვლის სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მულტიდისციპლინური მართვა
Q56	გაურკვეველი სქესი და ფსევდოჰერმაფროდიტიზმი	მართვა, საჭიროებისას მულტიდისციპლინური მართვა
Q96	ტერნერის სინდრომი	მართვა
Q97	სასქესო ქრომოსომების სხვა ანომალიები ქალის ფენოტიპი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
Q98	სასქესო ქრომოსომების სხვა ანომალიები, მამაკაცის ფენოტიპი, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა

Q99.0	ქიმერა 46,XX/46,XY	მართვა
Q99.1	46,XX ჭეშმარიტი ჰერმაფროდიტიზმი	მართვა
T19.2	უცხო სხეული ვულვასა და საშოში	მართვა
Z00.3	მოზარდის შემოწმება განვითარების მდგომარეობის შეფასების მიზნით	საჭიროებისამებრ მართვა ან რეფერალი
Z01.4	გინეკოლოგიური შემოწმება (ზოგადი) (რუტინული)	საჭიროებისამებრ მართვა ან რეფერალი
Z12.3	სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა სარძევე ჯირკვლის სიმსივნის გამოსავლენად	დიაგნოსტიკა, რეფერალი
Z30	დაკვირვება კონტრაცეპციული საშუალებების გამოყენებაზე	მართვა
Z31.1	ხელოვნური განაყოფიერება	მართვა
Z31.2	განაყოფიერება	მართვა
Z31.3	განაყოფიერების სხვა დამხმარე მეთოდები	მართვა
Z31.4	გამოკვლევა და სინჯები შვილოსნობის ფუნქციის აღსადგენად	მართვა
Z31.6	ზოგადი კონსულტაცია და რჩევები შვილოსნობის ფუნქციის აღსადგენად	მართვა
Z31.8	სხვა ხელშემწყობი ღონისძიებები შვილოსნობის ფუნქციის აღსადგენად	მართვა
Z31.9	შვილოსნობის ფუნქციის აღდგენის ხელშემწყობი ღონისძიება, დაუზუსტებელი	მართვა
Z32	ორსულობის დადგენა და ტესტირება	შესრულება
Z33	ორსულობისთვის დამახასიათებელი მდგომარეობები	მართვა 12 კვირამდე
Z34	ზედამხედველობა ფიზიოლოგიურ ორსულობაზე	მართვა 12 კვირამდე
Z35.0	ზედამხედველობა ორსულობაზე უნაყოფობის ანამნეზით	მართვა 12 კვირამდე, 12 კვირის შემდეგ მართვა მეან-გინეკოლოგის მიერ, საჭიროებისამებრ რეპროდუქტოლოგის კონსულტაცია
Z35.1	ზედამხედველობა ორსულობაზე აბორტული გამოსავლის ანამნეზით	მართვა 12 კვირამდე, 12 კვირის შემდეგ მართვა მეან-გინეკოლოგის მიერ, საჭიროებისამებრ რეპროდუქტოლოგის კონსულტაცია

Z35.2	ზედამხედველობა ორსულობის მიმდინარეობაზე იმ ქალებში, რომლებსაც აქვთ შვილოსნობასთან ან სამეანო პრობლემებთან დაკავშირებული დამძიმებული ანამნეზი	მართვა 12 კვირამდე, 12 კვირის შემდეგ მართვა მეან-გინეკოლოგის მიერ, საჭიროებისამებრ რეპროდუქტოლოგის კონსულტაცია
-------	--	--

**5. ექიმ - რეპროდუქტოლოგს უნდა შეეძლოს შემდეგი კვლევის მონაცემების და შედეგების ინტერპრეტაცია:**

ა) კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები: სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი;

ბ) გენიტალური ინფექციების სადიაგნოსტიკო გამოკვლევები: ბაქტერიოსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური და ექსპრეს-ტესტ-სისტემები, იმუნოფერმენტული ანალიზი(იფა), პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქცია (პჯრ)-დიაგნოსტიკა;

გ) PAP-ტესტი;

დ) სისხლის და შარდის ჰორმონული კვლევა;

ე) რეპროდუქციასთან დაკავშირებული იმუნოლოგიური ფაქტორების კვლევა;

ვ) ჰემოსტაზიოგრამა;

ზ) ანტენატალური გენეტიკური სკრინინგი - ბიოქიმიური, ულტრასონოგრაფიული;

თ) სარძევე ჯირკვლიდან და სასქესო ორგანოებიდან მიღებული ნიმუშების ციტოლოგიური კვლევა;

ი) სასქესო ორგანოებიდან მიღებული საოპერაციო მასალის ჰისტო-მორფოლოგიური და იმუნო-ჰისტოქიმიური კვლევა;

კ) ულტრასონოგრაფიული გამოკვლევები: მცირე მენჯის ღრუს ორგანოების, ფარისებრი, თირკმელზედა, სარძევე ჯირკვლების, საშარდე სისტემის ორგანოების, ტესტიკულების, პროსტატის, მუცლის ღრუს;

ლ) სონოჰისტეროსალპინგოსკოპია;

მ) მამოგრაფია;

ნ) ჰისტეროსალპინგოგრაფია;

ო) ამნიოცენტეზი, ქორდოცენტეზი, ქორიონის ბიოფსია;

პ) ვაგინოსკოპია;



- ჟ) კოლპო-ცერვიკოსკოპია;
- რ) ჰისტეროსკოპია;
- ს) დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპია;
- ტ) ფერტილოსკოპია;
- უ) მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია;
- ფ) მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა;
- ქ) თავის ქალას რენტგენოლოგიური, კტ, მრტ კვლევა;
- ღ) სპერმოგრამა-სპერმის რუტინული გამოკვლევა;
- ყ) სპერმატოზოიდების ურთიერთქმედება ცერვიკალურ ლორწოსთან, პოსტკოიტალური ტესტი-კურცროკ-მილერის, შუვარსკის;
- შ) ანტისპერმული ანტისხეულების გამოკვლევა სპერმაში და საშვილოსნოს ყელის ლორწოში;
- ჩ) ანტისპერმული ანტისხეულების გამოკვლევა სისხლში (იფა);
- ც) ურეთრის ნაცხის ბაქტერიოსკოპია, ბაქტერიოლოგია;
- ძ) პროსტატის წვენის ბაქტერიოსკოპია, ბაქტერიოლოგია;
- წ) გენეტიკური გამოკვლევა (კარიოტიპი, გენური მუტაციები).

**6. ექიმ - რეპროდუქტოლოგს უნდა შეეძლოს შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:**

- ა) ბავშვებსა და მოზარდებში ფიზიკური და სქესობრივი განვითარების ეტაპების შეფასება ასაკთან მიმართებით;
- ბ) გოგონებში უცხო სხეულის დადგენა სასქესო გზებში, ვაგინოსკოპია, სასქესო გზების ობსტრუქციების სახის დადგენა და მართვა, საჭიროებისამებრ მუცელ-გინეკოლოგთან ერთად;
- გ) ფიზიკური განვითარების შეფასება: სხეულის სიმაღლის, წონის, მასის ინდექსის, თეძო- წელის გარშემოწერილობის დადგენა, ჰირსუტული რიცხვის, აკნეს ხარისხის, სეზორეის, სტრიების, შავი აკანტოზის შეფასება;
- დ) გარეთა სასქესო ორგანოების განვითარების შეფასება, გინეკოლოგიურ სარკვევებში საშოს და საშვილოსნოს ყელის დათვალიერება, ნაცხის ნიმუშების აღება;
- ე) ბიმანუალური გამოკვლევა: ვაგინალურ-აბდომინალური, რექტალურ-აბდომინალური, რექტო-ვაგინალური;

ვ) ორსულის გამოკვლევა და ორსულობის რისკის შეფასება: ორსულის აწონვა, გაზომვა, სხეულის მასის ინდექსის გამოთვლა, არტერიული წნევისა და ტემპერატურის გაზომვა, პულსის დათვლა, მუცლის პალპაცია;

ზ) სარძევე ჯირკვლის გამოკვლევა პალპაციით, ლაქტორეის დადგენა;

თ) ულტრასონოგრაფიის წარმოება ენდომეტრიუმის შეფასების, ფოლიკულის მომწიფების მონიტორინგის, ორსულობის დადგენის მიზნით, ინ-ვიტრო განაყოფიერების დროს ფოლიკულების ასპირაციის და საშვილოსნოს ღრუში ემბრიონების გადატანის დროს;

ი) დიაგნოსტიკის ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენება: ვაგინოსკოპია, კოლპოცერვიკოსკოპია, მიზნობრივი ციტოლოგიური და ბიოფსიური მასალის აღება;

კ) სათესლე ჯირკვლების პალპაცია, ზომებისა და კონსისტენციის დადგენა;

ლ) ენდომეტრიუმის ბიოფტატის აღება, საშვილოსნოს ზონდირება, ყელის დილატაცია და ღრუს კიურეტაჟი სადიაგნოსტიკო მასალის მიღების მიზნით;

მ) მედიკამენტური აბორტის მართვა (ორსულობის პირველი ტრიმესტრი);

ნ) საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების კონსერვატიული მკურნალობა;

ო) რეპროდუქციული ორგანოების დაავადებების და დარღვევების დროს დიაგნოსტიკის, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენის და შენარჩუნების მიზნით ჩატარებული ყველა სახის ენდოსკოპიურ-გინეკოლოგიური ოპერაციის შესრულება;

ო.ა) დიაგნოსტიკური და სამკურნალო საოფისე ჰისტეროსკოპია, ჰისტერორეზექტოსკოპია (ცერვიკალური არხის და ენდომეტრიუმის პოლიპები, სუბმუკოზური კვანძები, საშვილოსნოს ტიხარი, საშოს ძგიდე და სხვა); ენდომეტრიუმის აბლაცია;

ო.ბ) დიაგნოსტიკური და სამკურნალო ლაპაროსკოპია: ოპერაციები საშვილოსნოსა და მის დანამატებზე (საკვერცხეების პოლიციტოზი, საკვერცხის ცისტები, სხვა დაუზუსტებელი ცისტები, ენდომეტრიოზი, ჰიდროსალპინქსი, და სხვა), შეხორცებების ლიზისი, კონსერვატიული მიომექტომია;

ო.გ) ენდოსკოპიური ოპერაციების მსვლელობისას აუცილებლობის შემთხვევაში რადიკალური ოპერაციული ჩარევა - ლაპარასკოპიული ან ლაპარატომიული ჰისტერექტომია მეან-გინეკოლოგთან ერთად;

ო.დ) რეკონსტრუქციული ოპერაციები-არაპერფორირებული საქალწულე აპკის გაკვეთა, საშოს ძგიდის გაკვეთა, კლიტორექტომია, ხელოვნური საშოს შექმნა (კოლპოპოეზი), გონადექტომია, საშვილოსნოს რუდიმენტული რქის მოკვეთა განვითარების ანომალიების დროს.

პ) ინტრაოპერაციულ შინაგან სისხლდენასთან ბრძოლის ქირურგიული მეთოდები: დაზიანებულ ქსოვილზე ნაკერის დადება-ლიგირება, ელექტროკოაგულაცია, ჰემოსტაზური ღრუბელის და გელის გამოყენება;

ჟ) ინფუზიური თერაპიის ტექნიკა;

რ) დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების ჩვენებების და უკუჩვენებების დადგენა, მეთოდის შერჩევა და გამოყენება:

რ.ა) ინ-ვიტრო განაყოფიერების პროტოკოლის შერჩევა, ოვულაციის ინდუქცია;

რ.ბ) საკვერცხეების ტრანსვაგინული პუნქციის შესრულება კვერცხუჯრედის ასპირაციის მიზნით ულტრასონოგრაფიული კონტროლით;

რ.გ) ემბრიონის გადატანა საშვილოსნოს ღრუში ულტრასონოგრაფიის კონტროლით;

რ.დ) დონაციისა და სუროგაციის წარმოება ინ-ვიტრო განაყოფიერების პროგრამებში;

რ.ე) საშვილოსნოსშიგა ინსემინაცია (მეუღლის ან დონორის სპერმით).

ს) ინ-ვიტრო განაყოფიერების პროგრამების შესრულება და უროლოგის მიერ ჩატარებულ მანიპულაციებში ჩართულობა:

ს.ა) TESE – სათესლეების ბიოფსია ღია წესით;

ს.ბ) RETA – სათესლეს შუასაყარიდან სპერმატოზოიდების ასპირაცია;

ს.გ) PESA - სათესლეს დანამატიდან სპერმატოზოიდების პერკუტანული ასპირაცია;

ს.დ) MESA - სათესლეს დანამატიდან სპერმატოზოიდების მიკროქირურგიული ასპირაცია;

ს.ე) SPAS – სპერმატოცელედან სპერმატოზოიდების ასპირაცია;

ს.ვ) TESA - სათესლე ჯირკვლის პერკუტანული ასპირაციული ბიოფსია.

ტ) კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების შერჩევა, ჩვენებების და წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრა, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, გამოყენება; კონტრაცეპციის ბუნებრივი (კალენდარული, შეწყვეტილი სქესობრივი აქტი), ლაქტაციური ამენორეის, ბარიერული მეთოდები - მექანიკური (კონდომები, დიაფრაგმა, ჩაჩები) და ქიმიური (სპერმიციდები); ჰორმონული კონტრაცეპცია - კომბინირებული ორალური კონტრაცეპცია, კომბინირებული საინექციო კონტრაცეპცია, კომბინირებული ტრანსდერმული პლასტიკური, საშოს ჰორმონული რგოლი; სუფთა პროგესტინული კონტრაცეპცია - პროგესტინული აბები, საინექციო საშუალებები, იმპლანტები-ჩადგმა-ამოღება; ინერტული მეტალების და ჰორმონშემცველი საშვილოსნოს შიგა საშუალებები (სშს), ჩადგმა-ამოღება; გადაუდებელი კონტრაცეპცია (პროგესტინული რეჟიმი, იუზპეს მეთოდი, ანტიპროგესტერონები, სშს); ქალის ლაპაროსკოპიული და ლაპაროტომიული ქირურგიული სტერილიზაციის ყველა სახის ტექნიკა, ჰისტეროსკოპიული სტერილიზაცია მიკროზამბარების გამოყენებით; მამაკაცის ქირურგიული სტერილიზაცია-ვაზექტომია.